ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის

სხდომის ოქმი N5

ქ. ლანჩხუთი

25.04.2025 წელი
12:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ხელაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ია მოქია, დარეჯან ბურჭულაძე, ნინო მშვიდობაძე და კარლო წილოსანი.

არ ესწრებოდნენ: კახა ასკურავა და მაკა მშვიდობაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე. საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე** და საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ზარამიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; შოთა ჩაგუნავა/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; ალეკო კირვალიძე/

3.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; როლანდ ლაშხია/

4.**სხვადასხვა საკითხები.**

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან განმარტა, რომ საქართველოში, საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის სფეროს მოწესრიგების მიზნით, 2023 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი. მათ შორის, ცვლილებები საქართველო ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში".

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,, კ 2" ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილია საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის რეფორმის ფარგლებში მუნიციპალიტეტის შემდეგი უფლებამოსილება, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ დასახლებაში ავტოსადგურის არ არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ნორმატიული აქტით იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრა, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა.

მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ პროექტის ინიცირების შემდეგ, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გამოთქვა გარკვეული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დაემატოს რიგი სოფლების ჩამონათვალი, საიდანაც ხდება ქალაქების მიმართულებით გადაადგილება.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ალეკო კირვალიძემ. მისი განმარტებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად. განსახილველად და დასამტკიცებლად, წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მარტის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლამხიამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მარტის თვეში შემოსულობები მობილიზებულია 3 392 027 ლარი, მათ შორის შემოსავლები (კაპიტალურის ჩათვლით) 1 766 906 ლარი. აქედან, დამატებითი ღირებულების გადასახადი - 1 123 080 ლარი. სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 204 333 ლარი; მათ შორის - ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 149 275 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1 625 120 ლარი; მათ შორის - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 87 451 ლარი.

საანალიზო თვეში გაწეული იქნა 3 037 568 ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის, შტატით მომუშავეთა შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 742 436 ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლზე მიმართულია 990 141 ლარი. მათ შორის, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე - 327 487 ლარი; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე -107 848 ლარი; ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 892 270 ლარი.

კომისიის წევრების მიერ შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა: კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ ისაუბრა ბატონი ავთანდილ ჯორბენაძის შესახებ, მან ხაზი გაუსვა ბატონი ავთანდილის პიროვნებას და აღნიშნა, რომ მასთან მრავალწლიანი ნაცნობობა-მეგობრობა აკავშირებდა. გაიხსენა მასთან თანამშრომლობა არჩევნების დროს. აღნიშნა, რომ იგი სპეციალურად იყო ჩამოსული წინასაარჩევნო პერიოდში ბატონი ავთოს დასახმარებლად. აქედან გამომდინარე რათქმაუნდა იგი არ ეწინააღმდეგებოდა ბატონი ავთოს ბიუსტის დადგმას. გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ იგი არ ეთანხმება საინიციატივო ჯგუფისა და იმ მყოფი პიროვნების ქმედებას-განსხვავებული აზრის, წინადადების გამოთქმის გამო. საკრებულოს წევრების (მანდილოსნების) შეურაცხოფას. (სამწუხაროდ აღნიშნულ ღონისძიებას ვერ დავესწარი ოფიციალურ შვებულებაში ყოფნის გამო). ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა სიტუაცია -ზურაბ თავართქილაძის სახელობის სკვერში-აღნიშნული ბიუსტის დადგმასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ შექმნილ ვითარებაში სასურველი იყო „ლანჩხუთობაზე", უფრო დიდი, მასშტაბური ღონისძიების დროს დადგმულიყო ბიუსტი და შეიძლებოდა ასევე სხვა ცენტრალურ ადგილზე მისი განთავსება, თანაც გასული იქნებოდა ერთ წელზე მეტი ბატ. ავთოს გარდაცვალებიდან. მანვე აღნიშნა, რომ ცოტა უხერხულიც კი იყო „მთავარი ინიციატორი"-ს მიერ სხვებზე გადაბრალება აღნიშნული ბიუსტის დადგმასთან დაკავშირებით ხელშეშლის გამო....

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის" კომისიის თავმჯდომარე **/გიორგი ხელაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის
დასკვნა №5

03.04.2025 წელი

12.00 საათი

მიმდინარე წლის 25 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; შოთა ჩაგუნავა/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; ალეკო კირვალიძე/

3.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; როლანდ ლაშხია/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი შენიშვნების გარეშე იქნა მიღებული.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე **/გიორგი ხელაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს "იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.04.2025 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ხელაძე	11:50	
2	ია მოქია	11:55	
3	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
4	მაკა მშვიდობაძე	არ ესწრებოდა	
5	კარლო წილოსანი	11 56	
6	ნინო მშვიდობაძე	11:56	
7	დარეჯან ბურჭულაძე	11 55	